

## სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ქ. ახმეტა

2017 წლის 4 მაისი

სხდომის ოქმი N2

სხდომას ესწრება 6 წევრი: ირაკლი არაბული, მერაბ უძილაური, ავთანდილ თურქიაშვილი, იზა აღბუთაშვილი, დალი გამხვეტელაშვილი, ზურაბ ბაბულაიძე. სხდომაზე არ გამოცხადდა საბჭოს 5 წევრი. სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრება ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბექა ბაიდაური.

კომისიის მდივანმა მ. უძილაურმა წარმოადგინა სარეგისტრაციო ფურცელი და მოახსენა, რომ საბჭოს 11 წევრიდან სხდომას ესწრება 6 წევრი, რაც „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“-ს დებულების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს აძლევს უფლებას შეუდგეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას.

დღის წესრიგი:

1. საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი „ქისტაურის შიდა გზების რეაბილიტაციის პროექტი“-ს განხილვა;
2. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინა --დღის წესრიგის **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბექა ბაიდაურის მოხსენება, რომელმაც საბჭოს გააცნო საინიციატივო ჯგუფის (ლ. ძამუკაშვილი, მ. მაილაშვილი, გ. კვიციანი) მიერ წარმოდგენილი სოფელ ქისტაურის შიდა გზების რეაბილიტაციის პროექტი. გამგებელმა აღნიშნა, რომ კარგია ახალგაზრდების დაინტერესება სოფლის პრობლემებით და მათი აქტივობა. მან მოკლედ მიმოიხილა პროექტი, ისაუბრა პროექტის განხორციელების შემთხვევაში მის მოსალოდნელ დადებით შედეგზე. „მიმდინარე წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უკვე დაგეგმილია და სამწუხაროდ, ამ ეტაპზე შეუძლებელია პროექტის განსახორციელებლად საჭირო თანხის მოძიება, თუმცა საკითხი, მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს“--განაცხადა ბ. ბაიდაურმა.

აზრი გამოთქვა--

ა. თურქიაშვილმა, რომელმაც განმარტა: „კარგია, როდესაც სტუდენტების ინტერესდებიან საკუთარი სოფლის პრობლემებით. ვფიქრობ, მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას წარმოდგენილი პროექტი“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ საბჭომ მოისმინა დ. გამხვეტელაშვილის ინიციატივა ქ. ახმეტის მეორე საჯარო სკოლასთან ფეხით მოსიარულეთათვის ე.წ. „ზებრა“ გადასასვლელის მოწყობის შესახებ. მანვე განმარტა-- „სკოლასთან არის გზაჯვარედინი, რომელიც განსაკუთრებით ბავშვებისათვის მომეტებული საფრთხის წყაროა, რის გამოც, კარგი იქნება დაოდგას გამაფრთხილებელი ნიშანი და მოეწყოს ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბ. ბაიდაურმა განაცხადა, რომ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის უწყებებთან ერთად გადაწყვეტს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხს.

საბჭომ ასევე მოისმინა ა. თურქიაშვილის წინადადება სოფელ ვეძებში, ცენტრალური გზიდან სოფლის სასაფლაომდე მისასვლელი გზის შეკეთების თაობაზე. „დაახლოვებით 800 მეტრის სიგრძის გზაა, რომლის შეკეთება /მოხრეშვა/ დიდ ხარჯებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული და თუ ამისი რესურსი გამოინახება ძალიან კარგი იქნება“. ბ. ბაიდაურმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ შესაბამის სამსახურთან ერთად შეისწავლის საკითხს და შესაძლებლობის ფარგლებში შეეცდება საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

საბჭომ გადაწყვიტა:

**კენჭისყრის შედეგად საბჭომ ერთხმად დაადგინა:**


მიეცეს რეკომენდაცია ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს:

1. საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი „ქისტაურის შიდა გზების რეაბილიტაციის პროექტი“ მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვამდე შეისწავლოს და შესაძლებლობის ფარგლებში გაითვალისწინოს;
2. განიხილოს და მიიღოს შესაბამისი ზომები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხის გადასაწყვეტად;
3. განიხილოს და შესაბამისი რესურსის გამოინახვის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები სოფელ ვეძების სასაფლაომდე მისასვლელი გზის შეკეთებასთან დაკავშირებით.

საბჭოს გადაწყვეტილებით:

კომისიის ოქმი შესაბამისი რეკომენდაციებით გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

სხდომა დაიხურა.

ოქმი შევადგინე: 

მ. უძილაური